5275-15-5-2-201905101201

N 15-5/5275
10/05/2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფის უზრუნველყოფის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო მამუკა,

მოგეხსენებათ, რომ სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს. წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები ეფექტიანი გამოძიების სისტემური ხასიათის პრობლემაზე მიუთითებდნენ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ არაერთ გადაწყვეტილებაში კონვენციის მე–2 და მე–3 მუხლების დარღვევა დაადგინა გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის არარსებობის გამო, ხოლო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში ერთ ჯგუფად გაერთიანებულ საქმეებში[1] გამოკვეთილი კომპლექსური პრობლემის გათვალისწინებით, მომავალში კონვენციით დაცული უფლებების მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, ყურადღება გაამახვილა ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე.

2013 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველი საპარლამენტო[2] და სპეციალურ[3] ანგარიშებში მიუთითებდა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის აუცილებლობაზე და

[1] ე.წ. „ცინცაბაძის და ღარიბაშვილის ჯგუფის საქმეები“ <https://www.coe.int/en/web/execution/submissions-georgia#{%2215014701%22:[9]}>

[2] 2013 წლის ანგარიში გვ. 211-212, გვ.218 <https://drive.google.com/file/d/19AjSGIOHEQkzJ0HV-rxQ56sXgFx0E6d7/view> 2014 წლის ანგარიში გვ. 339-342, 354 <https://drive.google.com/file/d/1Tyor20tgcN9rhR4kfRuFzVRO3CroM_Q5/view> 2015 წლის ანგარიში გვ.425 <https://drive.google.com/file/d/1_VN-AwGDBAc-ocqskoTm0OSPXcrb9Cup/view> 2016 წლის ანგარიში გვ.376 <https://drive.google.com/file/d/11H2Ywr72aNiTwurAjO3Q8fNiqCqj1JvW/view>

[3] 2014 წელს გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების

სამართალდამცავების მხრიდან და პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის რეკომენდაციას გასცემდა.

ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის ანგარიშში[4] აღნიშნული იყო მოსახლეობასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ნდობის უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნის საჭიროებაზე.

საბოლოოდ, 2018 წლის 21 ივლისს, საქართველოს პარლამენტის მიღებული კანონით (N3273-რს) შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომლის მიზანია განახორციელოს სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის მოსპობის ფაქტებზე მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება. სამსახურის ამოქმედების თავდაპირველ თარიღად 2019 წლის 01 იანვარი მიეთითა, თუმცა, მისი ამოქმედება გადავადდა 2019 წლის 01 ივლისამდე.

საქართველოს სახალხო დამცველმა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების გადავადება უარყოფითად შეაფასა[5]. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედების გადავადების მიზეზების შესწავლის[6] შედეგად დადგინდა გადავადების ძირითადი მიზეზი - ფინანსური რესურსების არარსებობა. საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარალამენტო ანგარიშში გაიცა რეკომენდაცია[7] საქართველოს მთავრობისადმი, უზრუნველეყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებისთვის და შემდგომ ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების დროული გამოყოფა.

კანონის ამოქმედებამდე (2019 წლის 01 ივლისი) დარჩენილი მცირე დროს მიუხედავად, სამწუხაროდ, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფა კვლავ არ განხორციელებულა.[8]

ნიშანდობლივია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოეყო 800 000 ლარი. თუმცა, კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად დამატებით ესაჭიროება 8 500 000 ლარი (შრომის ანაზღაურების, საგამოძიებო დანაყოფების შენობების

საერთაშორისო სტანდარტები." <http://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/saxalxo-damcvelis-specialuri-angarishi-efeqturi-gamodziebis-sakitxebze-2014-weli>

[4] „საქართველო გარდამავალ პერიოდში", თომას ჰამერბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმის საკითხებსა და ადამიანის უფლებებში. 2013. <http://gov.ge/files/288_38635_607369_Hammarbergreport-getm.pdf>

[5] იხ. 2018 წლის 18 დეკემბრის საჯარო განცხადება <http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-sakhelmtsifo-inspektoris-mekanizmis-amokmedebis-gadavadebis-sakitkhs-ekhmaureba>

[6] მოცემულ საკითხზე დეტალური ინფორმაცია აისახა საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 79 <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>

[7] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 85

[8] საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2019 წლის 03 მაისის NPDP119 00001688 წერილი.

სარემონტო სამუშაოების, ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო რესურსის, საგამოძიებო ფუნქციებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის).

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა კანონით მისი ამოქმედების გარეშე ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, კრიტიკულად აუცილებელია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, კანონით დადგენილ ვადაში, ამოქმედდება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების დროული გამოყოფა.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით უზრუნველყოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებისთვის და შემდგომი ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების დროული გამოყოფა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 18 (თვრამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.